



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

### გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 6

ქ. გარდაზანი



30/03/2022

6-06-4-202203301528

**გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-19 მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### **მუხლი 1**

დამტკიცდეს გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირება, თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

#### **მუხლი 2**

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N15 დადგენილება „გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების

შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 30/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.161.016497).

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 2 მაისიდან.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

